

რეკომენდაციები სკოლების და მასწავლებლებისთვის

სკოლა არის ადგილი,
სადაც ძალადობა ან ბულინგი/კიბერბულინგი ხშირად ხდება.
წინამდებარე სარეკომენდაციო დოკუმენტი, თავს უყრის
სასკოლო გარემოში ბულინგის პრევენციისა და რეაგირების ძირითად მექანიზმებს.

DRI
UK Government
UK in Support of Sustainable Peace
Complementary Initiative to CDBERM
UNDP

DRI
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
DEMOCRACY RESEARCH INSTITUTE
2023

სკოლაში ბულინგის პრევენციისთვის

- ✓ სკოლას აქვს ძალადობის/ბულინგის პრევენციისა და რეაგირების პოლიტიკა, რომლის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები და მშობლები;
- ✓ სკოლა თანხმდება ზოგად წესებზე ძალადობის/ბულინგის დაუშვებლობის შესახებ და ეს სკოლაში ყველასთვის ცნობილია.
- ✓ სკოლაში გადანაწილებულია როლები, არსებობს შესაბამისი პროტოკოლები, თუ როგორ იქცევა სკოლა ძალადობის/ბულინგის შემთხვევაში;
- ✓ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან;
- ✓ სკოლა აძლევს ბავშვებს საკუთარი ნიჭისა და პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობას კლასგარეშე თუ სასკოლო აქტივობების გზით;
- ✓ სკოლა აორგანიზებს საერთო და ინკლუზიურ აქტივობებს, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის;
- ✓ სასკოლო ცხოვრებაში, თითოეულ მოსწავლეს, ეძლევა ჩართულობის შესაძლებლობა;
- ✓ სკოლის პოლიტიკა მიმართულია თანასწორობისკენ და პერსონალი არ ადარებს მოსწავლეებსა და მათ შესაძლებლობებს ერთმანეთს;
- ✓ სკოლაში ეწყობა დისკუსიები, რეფლექსიები, ვიდეოების და ფილმების ჩვენება, რომლებიც ეხმიანება და პასუხობს ახალგაზრდების კონკრეტულ პრობლემებს (ბულინგი, ძალადობა);
- ✓ სკოლა ხელს უწყობს, ბულინგის პრევენციის საკითხებში, მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებასა და სკოლის პერსონალს შორის, ბულინგის შემთხვევებზე, ეფექტიანი რეაგირებისთვის კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბებას;
- ✓ სკოლაში გამოიყენება აღდგენითი მიდგომები და დანერგილია სასკოლო მედიაცია.

ბულინგის შემთხვევაზე რეაგირება

პირველი ეტაპი – ხანძრის ჩაქრობა

ნაბიჯი 1 - შეაჩერეთ ინციდენტი, გამოყავით ორივე მხარე, დადექით მათ შორის და არ მისცეთ მათ კომუნიკაციის საშუალება. მიჰყევით სიტუაციას.

ნაბიჯი 2 - დარწმუნდით, რომ ყველაფერი რიგზეა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახეთ პოლიცია და/ან სასწრაფო დახმარება.

ნაბიჯი 3 - დარწმუნდით, რომ მხარეებს არ შეუძლიათ კომუნიკაცია, თუ სიტუაცია დაიძაბა, გაიყვანეთ ბავშვები სხვადასხვა ოთახებში და მოიხმეთ დამატებითი სპეციალისტი დახმარებისთვის.

პარალელურად შეგიძლიათ დასვათ კითხვები ინციდენტთან დაკავშირებით, რათა გაიგოთ ინციდენტის არსი და სიმძიმე. ნუ სთხოვთ მათ/ბავშვებს ბოდიშის მოხდას.

ნაბიჯი 4 - საქმის დოკუმენტირება შემდგომი ჩარევისთვის.

მეორე ეტაპი – სიტუაციის ანალიზი

ნაბიჯი 1 - სპეციალისტების, მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრა.

ნაბიჯი 2 - მხარეებთან გასაუბრება სიტუაციის უკეთ შესაფასებლად.

ნაბიჯი 3 - მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრეთ:

- რა ტიპის ინტერვენციას ვატარებთ ბულინგის განმახორციელებელთან?
- რა სახის დახმარება სჭირდება მსხვერპლს?
- რა ტიპის ინტერვენციას ვატარებთ შემთხვევის დანარჩენ მონაწილეებთან.